პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 64 (4058)

1970 წ. 1 აპრილი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ბოიკოტი რასისტებს

ლონდონი, 30 მარტი. სამხრეთ აფრიკის გუნდი მონაწილეობას ვერ მიიღებს ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც აგვისტოში ჩატარდება ლესტერში. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ველოსპორტის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟ. პაჩიარელიმ კეიპტაუნში გაგზავნა წერილი, სადაც ნათქვამია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის განაცხადი ზემოხსენებულ შეჯიბრებაში მონაწილეობის თაობაზე უარყოფილია. საბუთად მოჰყავთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ველოსპორტის ფედერაციის მიერ წარდგენილი დებულება, რომელიც რასობრივი დისკრიმინაციის ტიპიურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს.

(საკდესი).

## ამჯერად II ადგილზე

სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრებმა, რომელმაც ორჯერ მოიპოვა გამარჯვება ევროპის ლიგის პირველობაში, მესამე გათამაშებაში მხოლოდ II ადგილი დაიკავა: ამჯერად პირველობა შვეციის გუნდს დაუთმო. ლიდერთა მატჩი 30 მარტს გვიან საღამოს დამთავრდა მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" სპორტდარბაზში, სადაც შვედებმა გაიმარჯვეს — 6:1.

ტურნირში ორივე გუნდმა 5-5 გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მოგებული და წაგებული შეხვედრების სხვაობით შვედები დაწინაურდნენ.

იმ დღეს დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა და ეს გასაგებიცაა, რადგან 1 აპრილს მოსკოვში ევროპის VII ჩემპიონატი იწყება. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სპორტსმენები, განსაკუთრებით ვაჟები, რაღაც შებოჭილად თამაშობდნენ.

ჰ. ალსერმა საკმაოდ სწრაფად მოუგო სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს ს. გომოზკოვს — 2:0, ხოლო ჩ. იუჰანსონმა — ქვეყნის ჩემპიონს ა. ამელინს. გადამწყვეტი აღმოჩნდა ევროპის ჩემპიონების ზ. რუდნოვასა და ს. გომოზკოვის შეხვედრა მ. ნეიდერტთან და ჩ. იუჰანსონთან. საბჭოთა სპორტსმენები დამარცხდნენ — 1:2. სწორედ ამან განაპირობა სტუმრების წარმატება. საბჭოთა გუნდს ერთადერთი ქულა მოუტანა რუდნოვამ, რომელმაც მოუგო შვეციის მესამე ჩოგანს როდბერგს — 2:0.

## 1969 წლის „ფერ პლეი"

იუნესკო-ს სპეციალური საერთაშორისო კომიტეტი ყოველ წელს რეგულარულად აჯილდოვებს რომელიმე სპორტსმენს ან გუნდს ჯილდოთი — „ფერ პლეი" (კორექტული თამაში).

შარშანწინ ეს საპატიო ჯილდო იაპონიის ფეხბურთელთა ნაკრებმა მიიღო, რომლის თამაში მეხიკოს ოლიმპიადაში მართლაც გამოირჩეოდა კორექტულობით.

შარშან ჯილდო ერთბაშად ორ სპორტსმენს მიეკუთვნა. ერთ-ერთი მათგანია ესპანელი ფეხბურთელი, 30 წლის პედრო ზაბალა („საბადელი"). მეორე ჯილდოც ესპანელმა სპორტსმენმა დაიმსახურა. ესაა ბადალონის „იუვენტუდის" კალათბურთელი ფრანსისკო ბუსკატო.

ჯილდოებს ლაურეატები მაისის შუა რიცხვებში ჩაიბარებენ.



თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდების მატჩის შესვენებაზე მაყურებლებმა იხილეს ველოსიპედისტთა საინტერესო შეჯიბრება თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თასზე. გამოვარდნით 10 წრეზე რბოლაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ნაკრების წევრებმა, სპორტის ოსტატებმა შ. დაიაურმა („სპარტაკი"), ო. გოგოტიშვილმა (ასკ), ე. ქობალიამ, დ. კობაიძემ (ორივე — „ბურევესტნიკი") და სხვ.

როცა ბრძოლას ლიმიტით დაშვებული ყველა ველოსიპედისტი გამოეთიშა, პრიზი სამმა დარჩენილმა გაითამაშა. ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე კობაიძემ გადაკვეთა. II ადგილზე იყო დინამოელი გ. ბულბულოვი, ხოლო III — გოგოტიშვილი.

ასეთი სახის შეჯიბრებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი, ჯერ ერთი, ველოსპორტის კარგი პოპულარიზატორია და, ამავე დროს, საინტერესო სანახაობით ავსებს ტაიმებს შორის დასვენების დროს. შეჯიბრების ორგანიზატორთა ინიციატივა უდავოდ მისასალმებელია, ოღონდ თვით ასპარეზობის ინფორმაციის საქმეც უკეთ უნდა იყოს მოგვარებული. თორემ სტადიონზე გამარჯვებულად შ. დაიაური გამოაცხადეს, რბოლა კი სინამდვილეში დ. კობაიძემ მოიგო.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.




## მეათედ, ზედიზედ კი მერვედ!

სტოკჰოლმი, 31 მარტი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა მეათედ (ზედიზედ კი მერვედ) მოიხვეჭა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა სახელი. შვეციის პრესა ხოტბას ასხამს მის თამაშს და გამარჯვებას სავსებით კანონზომიერსა და დამსახურებულს უწოდებს.

საბჭოთა ჰოკეისტებმა „სამართლიანი თამაშის პრიზიც" მოიპოვეს. ჩემპიონატზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და შეადგინეს სიმბოლური „მსოფლიოს ნაკრები", რომელშიც ჰოკეის სამი საბჭოთა ოსტატი შევიდა. ეს ექვსეული ასეთია: კონოვალენკო, სუხი (ჩეხოსლოვაკია) — სვედბერგი (შვეცია), მალცევი — ნედომანსკი (ჩეხოსლოვაკია) — ფირსოვი.

ჩემპიონატის დირექტორატის გადაწყვეტილებით, პირველობის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელებული არიან: მეკარე იონენი (ფინეთი), მცველი სვედბერგი და ჩემპიონატის პირველი სნაიპერი, თავდამსხმელი მალცევი.

## ახალი ამბები

● სარაევო, 30 მარტი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 9 ტურის შემდეგ 6-6 ქულით ლიდერობენ დიდოსტატი ბენკო (აშშ) და ოსტატობის კანდიდატი ლიუბოევიჩი (იუგოსლავია). IX ტურში ბენკომ მოუგო ბუკალს (იუგოსლავია), ხოლო ლიუბოევიჩმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა თანამემამულე გაშიჩთან. 5-5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ჰარმას (იუგოსლავია), ანტოშინსა (სსრ კავშირი) და პლანინცს (იუგოსლავია). IX ტურში ანტოშინმა პოზიციური უპირატესობით გადადო პარტია ბულგარელ ტრინგოვთან. ტურნირის მეორე საბჭოთა მონაწილე — დიდოსტატი ლიბერზონი ჯერჯერობით XIII ადგილზეა: მას 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

● ზაკოპანე, 30 მარტი. პოლონეთის „მფრინავ მოთხილამურეთა" ბოლო შეჯიბრება, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის, 22 წლის ს. გონსენიცას გამარჯვებით დამთავრდა. ცუდი ამინდის მიუხედავად, იგი 102,5 და 106,5 მეტრზე გადახტა.

● მილანი, 30 მარტი. ამ ქალაქის გარეუბანში სან ლიტორეში გაიმართა მძლეოსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება — „ხუთი წისქვილის კროსი". სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია 10 კილომეტრზე რბენაში ოლიმპიურ ჩემპიონს, კენიელ ნ. ტემუს. 9,5-კილომეტრიანი ტრასა მან 30 წუთსა და 37,8 წამში გაირბინა. ტემუს შეუპოვრად ებრძოდა გამოცდილი ბელგიელი მორბენალი გ. რულანტსი, მაგრამ ფინიშის მისადგომებთან იგი ჩამორჩა და მხოლოდ IV ადგილი დაიკავა — 31.34,6. II ადგილზეა იუგოსლაველი დ. კორიცა — 30.53,8, III — კენიელი ფ. ნდოლო — 30.57,4. იუნიორებში, რომლებიც 4 კილომეტრსა და 250 მეტრზე ასპარეზობდნენ, ყველას აჯობა იუგოსლაველმა ბ. იოვანოვიჩმა — 16.12,0.

● სანტა-ბარბარა, 30 მარტი. კალიფორნიის ამ ქალაქში ამერიკის მძლეოსანთა ერთ-ერთ პირველ ღია შეჯიბრებაში ბრწყინვალედ იასპარეზა აშშ-ს ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტმა ქალმა ჩი ჩენმა: მან 100 იარდზე რბენაში მსოფლიო რეკორდი (10,3) გაიმეორა, ხოლო სიგრძეზე ხტომაში წლევანდელი მსოფლიო სეზონის საუკეთესო შედეგით (635 სმ) გაიმარჯვა.

● კიროვსკი, 30 მარტი. ხიბინის მთის ფერდობებზე გაიმართა მოთხილამურეთა შეჯიბრება „ჩრდილოეთის დღესასწაულის" პროგრამით. ეს იყო წლევანდელ სეზონში სსრ კავშირის „მფრინავ მოთხილამურეთა" ბოლო ტურნირი, რომელშიც უძლიერესები არ გამოდიოდნენ. გაიმარჯვა ლენინგრადელმა ვ. კრიუკოვმა. II ადგილზეა გ. ბუტორინი (პერმი), III — ი. ზიუზინი (ლენინგრადი). აქვე მოეწყო შეჯიბრება სამთოსათხილამურო სპორტში. გიგანტურ სლალომში იმარჯვეს გ. შიხოვამ (მოსკოვის ოლქი) და ა. ლებედევმა (კიროვი). სამჭიდში სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. მელნიკოვმა (მოსკოვი) III ადგილი ძლივს დაიკავა.

● მურმანსკი, 30 მარტი, „ჩრდილოეთის დღესასწაულის" საერთაშორისო ტურნირში კარგად გამოდიან სსრ კავშირის საუკეთესო მოთხილამურენი. ქვეყნის პირველმა ნაკრებმა (ი. პრონინი, ვ. ვედენინი, ბ. გიზატულინი, ვ. ვორონკოვი) მოიგო 4×10 კილომეტრზე ესტაფეტა — 2:17.28. II ადგილზეა „ლოკომოტივის" კვარტეტი — 2:18.06, III — ნორვეგიის პირველი გუნდი — 2:18.07. 3×5 კილომეტრზე ქალთა ესტაფეტაშიც მასპინძელთა პირველმა ტრიომ (ნ. ფიოდოროვა, ნ. შებალინა, გ. კულაკოვა) იმარჯვა — 51.22. II ადგილზეა სსრ კავშირის მეორე გუნდი, III — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები.

● ლენინგრადი, 30 მარტი. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 15 წლის მოსკოველმა ო. კუდაშოვამ სსრ კავშირის კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა 25-მეტრიანი აუზებისთვის — 400 მ თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 44,1 წამში გაცურა.

## მეათე გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს 4 მედლიდან — სამი!

მინსკი, 30 მარტი. ახალგაზრდა ესპადრონისტთა შორის ჩემპიონობა ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა მოსკოველმა სტუდენტმა პ. რენსკიმ. დღეს მან მოფარიკავეთა ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში აჯობა თავის ხუთივე მეტოქეს: ა. ილიუკს და ა. კომარს (ორივე — სსრ კავშირი), უნგრელ კ. ვარგას, ფრანგებს ჟ.-მ. კორემბლს და ფ. ვიტრაკს.

რენსკის ახლახან 20 წელი შეუსრულდა. იგი მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტია და ფარიკაობაში უკვე მეათე წელია ვარჯიშობს.

ვერცხლის მედალი მიიღო ბუდაპეშტის ერთ-ერთი ელექტროსადგურის ტექნიკოსმა, 20 წლის კ. ვარგამ, ბრინჯაოსი — სარატოველმა მოსამსახურემ, 18 წლის ა. კომარმა. ფინალში მათ 3-3 გამარჯვება მოიპოვეს. დამატებითი შეჯიბრება მოიგო ვარგამ.

დამაჯერებლად გავიდა I ადგილზე დაშნით მოფარიკავე, ლენინგრადის ოპტიკურ-მექანიკური ინსტიტუტის სტუდენტი ბ. ლუკომსკი, რომელმაც ფინალურ ტურნირში 5 გამარჯვება მოიპოვა.

იყო მომენტი, როცა გულშემატკივრები აღელდნენ. ნორვეგიელმა ჟ. ნორმანმა ოთხი მეტოქე დაამარცხა და გადამწყვეტ ბრძოლაში ლუკომსკის უნდა შეხვედროდა. ბრძოლა უაღრესად დაძაბულად წარიმართა, მაგრამ ლენინგრადელმა ინიციატივა არ დათმო და გაიმარჯვა — 5:2. მისი მეტოქე კი ვერცხლის მედლითაც კმაყოფილი იყო. ბრინჯაოს მედალი ამ შეჯიბრებაშიც საბჭოთა სპორტსმენს, ერევნელ სტუდენტს ა. კარაკიანს ხვდა, რომლისთვისაც ეს ჩემპიონატი დებიუტი იყო.

გუნდური გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ. ეს საიუბილეო, რიგით მეათე გამარჯვებაა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატებში. საბჭოთა მოფარიკავეებმა კვლავ დაისაკუთრეს ამ ასპარეზობის მთავარი პრიზი — რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტის თასი.

ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში პირად შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის გუნდებმა პირველად მიიღეს რამდენიმე ადგილი. მაგალითად, I ადგილისთვის ირიცხებოდა 10 ქულა, II ადგილისთვის — 8 და ა. შ. წარმატება მოიპოვეს სსრ კავშირის, გფრ-ისა და საფრანგეთის ნაკრებმა გუნდებმა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ მინსკში საბჭოთა სპორტსმენებმა ოთხიდან ოქროს 3 მედალი დაისაკუთრეს. როგორც ვწერდით, ოქროს ჯილდოები მიიღეს ყაზანელმა ვ. ნიკონოვამ, მოსკოველმა პ. რენსკიმ (ესპადრონი), ლენინგრადელმა ბ. ლუკომსკიმ (დაშნა). ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს მოსკოველმა ვ. ბუროჩკინამ და კიეველმა ა. ვოლოშინმა (რაპირა), ბრინჯაოსი — ა. კომარმა (ესპადრონი) და ერევნელმა ა. კარაკიანმა (დაშნა). ეს ფარიკაობის საბჭოთა სკოლის დიდი წარმატებაა. სსრ კავშირის ნაკრებში (მწვრთნელი ვ. ჟიტნი) 9 ქალაქის ახალგაზრდა მოფარიკავეები გამოდიოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭქუხდა შაშხანები



სოხუმში ათ დღეს გაგრძელდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ტყვიის სროლაში. ტურნირში მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ცეცხლის ხაზზე გავიდნენ მეხიკოს ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონი ვ. კოსიხი (მოსკოვი), ლენინგრადელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ა. ზაბელინა, ა. გერასიმიონოკი, მოსკოველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები თ. ჩერკასოვა და ტ. რატნიკოვა, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებაში გამარჯვებული ვ. კონიახინი (მოსკოვი), თბილისელი სპორტის ოსტატები გ. თავდიდიშვილი, ს. ბუჩუკური, სოხუმელები ლ. ალიხანოვა, ვ. იაკიმენკო, ბ. ზანოზდრე და სხვ.

შეჯიბრების მიზანი იყო დაკომპლექტება გუნდისა, რომელიც აპრილში თბილისში იასპარეზებს საკავშირო საგაზაფხულო შეჯიბრებაში.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ო. დოიჩომ (უკრაინა) მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლაში 1148 ქულა დააგროვა და გაიმარჯვა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შეჯიბრებაში ვ. ნიკოლაევმა (მოსკოვი) და ე. სიტკევიჩმა (ლატვია) I-II ადგილები გაიყვეს, ვინაიდან ორივემ 590-590 ქულა დააგროვა. ნებისმიერი შაშხანით 60 გასროლაში ა. გერასიმიონოკმა მხოლოდ 20 ქულა დაკარგა.

კარგად გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენებიც. თავდიდიშვილმა „გაქცეულ ტახზე“ სროლით 341 ქულა მოაგროვა და რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა. ბუჩუკურმა II ადგილი დაიკავა მცირეკალიბრიანი შაშხანით დგომელა სროლაში — 364.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს მოსკოველებმა. საქართველოს გუნდი VIII ადგილზეა.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

• • •

სურათზე: საქართველოს რეკორდსმენი გ. თავდიდიშვილი.

ფოტო ავტორისა.

# გეოგრაფია გაფართოვდა

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა საქართველოს პროფსაბჭოს ძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლისა და დონეცკელ მოსწავლეთა ამხანაგური მატჩები. შეჯიბრება ხან თბილისში ეწყობა, ხან დონეცკში.

წლეულს ასპარეზობის გეოგრაფია გაფართოვდა: დონეცკში, „ავანგარდის“ მანეჟში, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დონის როსტოვის, თბილისის, დნეპროპეტროვსკის, ხარკოვისა და მასპინძელთა წარმომადგენლები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა როსტოვის კოლექტივმა, რომელიც რსფსრ-ს ჩემპიონია. II ადგილზე გავიდნენ მასპინძლები, III—თბილისელი მძლეოსნები.

ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფად (1954-55 და 1952-53 წლებში დაბადებულნი) გაიმართა. თბილისელებმა ორივე ჯგუფში რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. 15-16 წლის ჭაბუკთა შეჯიბრებაში ყველაზე კარგად გამოვიდნენ გ. ბრეგვაძე და ვ. პლიევი. ბრეგვაძემ და ვ. ჩურიკომა (დნეპროპეტროვსკი) 100 მეტრზე რბენაში ერთნაირი შედეგი (11,3) აჩვენეს, მაგრამ ბრეგვაძემ მეტოქეს ფინიშთან მკერდით მიასწრო. პლიევი სიმაღლეზე ფოსბიურის ყაიდით ხტება. დონეცკში მან 180 სმ გადალახა და პირველობაც მოიგო. ბრეგვაძემ 200 მეტრზე რბენაში III ადგილი დაიკავა. ნ. კოჯაევს ორი III ადგილი ხვდა — სიგრძეზე ხტომასა (639 სმ) და სამხტომში (12,74). ნ. ტარონიანი 1500 მეტრზე რბენაში III ადგილზე გავიდა — 5.10,7.

ამ ასაკის გოგონებში თბილისელთაგან ყველაზე კარგად მ. ალიაკრინსკაიამ იასპარეზა: მან ჯერ სიმაღლეზე ხტომა მოიგო (152 სმ), შემდეგ სიგრძეზე ხტომა — 542 სმ. 100 მეტრზე თარჯრბენში ალიაკრინსკაიამ 0,1 წამი წააგო მასპინძელ ტ. პოლოვნიკოვასთან და II ადგილი დაისაკუთრა.

თბილისელ ტ. ივანოვას ორი საპრიზო ადგილი ხვდა: მან ყველას აჯობა 400 მეტრზე რბენაში (1.00,7), ხოლო 800 მეტრზე მხოლოდ დნეპროპეტროვსკელ ი. ასატჩუკს ჩამორჩა. ივანოვას შედეგია 2.26,5. თ. დრიაევაც კარგად გამოვიდა. თბილისელი გოგონა მეორე იყო 200 მეტრზე რბენაში (27,0) და მესამე — სიგრძეზე ხტომაში (509 სმ).

17-18 წლის ჭაბუკთა შორის 100 მეტრზე რბენაში გამარჯვების საკითხი თბილისელი ს. სვისტელნიკოვის სასარგებლოდ მკერდით უპირატესობამ გადაწყვიტა, ვინაიდან მან და დონეცკელმა ვ. რაშევსკიმ ერთნაირი დრო (11,0) აჩვენეს. სამაგიეროდ, რაშევსკიმ რევანში 200 მეტრზე ასპარეზობაში აიღო. ა. კერესელიძე მესამე იყო 400 მეტრზე — 55,4 (გაიმარჯვა როსტოველმა ვ. პონომარიოვმა — 52,2). გ. ხუფაკარია ამავე ადგილს დასჯერდა 1500 მეტრზე რბენაში — 4.17,3 (აქ ყველას აჯობა დნეპროპეტროვსკელმა ო. ხრისტიანმა — 4.02,7). ი. შვიდკინმა სამხტომში 12,89 მ გადალახა, რამაც III ადგილი მოუპოვა.

თბილისელმა ქალიშვილებმა მხოლოდ ორი II და ორი III ადგილი დაისაკუთრეს. II ადგილები წილად ხვდათ: ლ. ჭარბაძეს 400 მეტრზე რბენაში (1.01,6) და ლ. ნაზარიკოვას სიმაღლეზე ხტომაში — 147 სმ (როსტოველმა ს. დიდენკომ მას 10 სმ მოუგო). გ. სულხანიშვილი მესამე იყო სიგრძეზე ხტომასა (503 სმ) და ბირთვის კვრაში (10,27 მ).

რ. მაღრაძე.

# დიდი ტრადიციების ქალაქში

რიონისპირა ქალაქი ქუთაისი მარტო რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული ცენტრი როდია, — იგი დიდი სპორტული ტრადიციების ქალაქიც გახლავთ. აქ, „სავარდო და სამაისო“ კუთხეში ბევრმა შესანიშნავმა სპორტსმენმა აიდგა ფეხი და ღირსეული წვლილიც შეიტანა ქართული სპორტის განვითარებაში.

საერთოდ, ჩინებული სპორტული მონაცემებით დაჯილდოებული ახალგაზრდობა მრავლად იყო დასავლეთ საქართველოს ყველაზე დიდ ქალაქში, მაგრამ საოცარი სწორედ ის არის, რომ ათობით წლების მანძილზე ქუთაისში სპორტული ბაზების ნაკლებობა შეიგრძნობოდა. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ქალაქს დღემდე არ ჰქონდა საცურაო აუზი. მაშ როგორ გამოუზარდა ქუთაისმა ქართულ წყალბურთს შესანიშნავი ოსტატები გ. ჩიქვანაია, დ. მიმინოშვილი და სხვები? შეიძლება ეს ოდნავ უხერხული პარალელი იყოს, მაგრამ ისინი ჰგავდნენ ყვავილს, რომელიც ასფალტის კიდეზე ამოდის ხოლმე. მით უფრო სასიხარულოა, რომ ქუთაისში მალე გაიხსნება საცურაო აუზი და ზაფხულობით რიონში მოცურავე ნორჩების ერთი ნაწილი მიიღებს სანუკვარ ბაზას. მაშინ კი, გარწმუნებთ, წინ ველარაფერი დაუდგება ახალ-ახალი ტალანტების გამოჩენას. ვიმედოვნებთ, ქუთაისიც შესაფერის ადგილს მონახავს რესპუბლიკის საწყლოსნო სპორტის სიმბოლურ რუკაზე.

ჩვენ ამას წინათ ვნახეთ ეს შესანიშნავი კომპლექსი, რომელიც სამი საცურაო აუზისგან შედგება. მნახველის ყურადღებას იქცევს საინტერესო და თანამედროვე არქიტექტურული ჩანაფიქრი.

აქ საუკეთესო პირობები იქნება შექმნილი ცურვის, წყალში ხტომისა და წყალბურთის მოყვარულთათვის. აუზი საშუალებას იძლევა, რომ სპორტსმენებმა წლის ყველა დროს ივარჯიშონ, აიმაღლონ ოსტატობა და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში. დარწმუნებული ვართ, რომ ეს საუკეთესო ბაზა მომავალში უმასპინძლებს არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობათა მონაწილეებსაც.

ყოფილხართ ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც მატჩებს მართავს რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი — ადგილობრივი „ტორპედო“? თუ ყოფილხართ, არ შეიძლება არ მოგწონებოდათ ეს კოხტა, კეთილმოწყობილი ბაზა თავისი ტრიბუნებით, ხასხასა ბალახით დაფარული საფეხბურთო მინდვრით. ყოველივე ეს არა მარტო სტადიონის ადმინისტრაციის, არამედ ქალაქის სპორტული საზოგადოებრიობისა და ხელმძღვანელი ორგანოების დამსახურებაცაა. ხუმრობა ხომ არ არის: უკვე მერამდენე წელია, რაც ქუთაისელი ფეხბურთელები უმაღლეს ლიგაში გამოდიან. ეს ბევრს ავალებს დიდი სპორტული ტრადიციების ქალაქს. წლევანდელ საფეხბურთო სეზონს სტადიონი მომზადებული შეხვდა: გაჩნდა ახალი სათადარიგო მინდორი, გაკეთდა ფრენბურთის სამი და ჩოგბურთის ორი მოედანი. ერთი სიტყვით, ქალაქის ცენტრალური სტადიონი ამჟამად დიდ კომპლექსურ სპორტბაზად იქცა.

მაგრამ ქუთაისელები ამაზე შეჩერებას არ აპირებენ. სტადიონის მახლობლად უკვე ჩაეყარა საფუძველი ახალ დიდ სპორტულ კომპლექსს. როცა არქიტექტორთა და მშენებელთა ჩანაფიქრი ხორცს შეისხამს, ქალაქს შეემატება ოთხდარბაზიანი სპორტული ბაზა. ის დარბაზები უდიდეს სამსახურს გაუწევენ სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებს.

სასიხარულოა ისიც, რომ ქუთაისის განათლების განყოფილება მალე გადასცემს სპორტული თამაშების მოყვარულთ მშვენიერ ნაგებობას.

ეს გახლავთ ქუთაისის სპორტული ბაზების, თუ შეიძლება ითქვას, სასიხარულო და ოპტიმისტური პანორამა, მაგრამ ფასადს იქით ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება იმალება. გადავხედოთ თუნდაც სპორტკლუბ „კოლხიდის“ ბაზებს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ უმნიშვნელოვანეს სპორტულ ცენტრს საერთოდ არ გააჩნია... მარტივი ტიპის მოედნები და დარბაზებიც კი. საკითხავია, სად ვარჯიშობს და იმაღლებს ოსტატობას ამ კლუბის ასობით ფიზკულტურელი და სპორტის ენთუზიასტი? არსად, ან, უკეთეს შემთხვევაში, ნაქირავებ ბაზებზე. პირდაპირ უნდა ითქვას: ვერაფერი გამოსავალია.

უკეთეს მდგომარეობაში არც ქუთაისელი მოკრივეები, მოფარიკავეები, ტანმოვარჯიშეები არიან. და რა გასაკვირია, რომ სპორტის ამ სახეობათა წარმომადგენლების წარმატებებმა ბოლო წლებში საგრძნობლად იკლო.

ქუთაისი მუდამ ითვლებოდა ქართული სპორტის ერთ-ერთ საიმედო სამჭედლოდ. ამიტომ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა უფრო მეტს მოითხოვს მისგან. ამ დიდი და საპასუხისმგებლო საქმის მოგვარება კი სრულფასოვანი სპორტული ბაზების უქონლად არ მოხერხდება.

ა. გოგელია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

# წარმატება ორივე ასაკობრივ ჯგუფში

ცურვაში შეჯიბრებათა ახალი სისტემის შემოღების შემდეგ კვლავ ტარდება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის გუნდების ტრადიციული მატჩები. წლეულს ამგვარი პირველი შეჯიბრება უფროსი ასაკის სპორტსმენებისთვის ბაქოში, ხოლო საშუალო და უმცროსი ასაკის მოცურავეებისთვის ერევანში გაიმართა. ეს ტურნირები ამავე დროს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზისთვის მებრძოლთა შესარჩევი შეჯიბრებებიც გახლდათ.

ბაქოში გამართული ასპარეზობის შესახებ „ლელო“ უკვე წერდა. ახლა გავაცნობთ ერევნის ტურნირის შედეგებს.

13-14-წლიანთა ტურნირში საქართველოს გუნდმა 212 ქულა დააგროვა და პირველობა მოიგო. II ადგილზეა მასპინძელთა კოლექტივი — 148. III — მოლდავეთის გუნდი — 107. აზერბაიჯანელებმა მხოლოდ 58 ქულა მიიღეს.

15-16 წლის ჭაბუკებისა და გოგონების შეჯიბრებაშიც საქართველოს მოცურავეებმა იმარჯვეს. მათ 482 ქულა დააგროვეს, მაშინ, როცა II ადგილზე გასულ აზერბაიჯანის გუნდს 226 ქულა აქვს. მოლდავეთის სპორტსმენები აქაც III ადგილზე იყვნენ. ამჯერად ისინი მხოლოდ 44 ქულას დასჯერდნენ, მაგრამ მასპინძლებს 6 ქულით მაინც აჯობეს.

შეჯიბრების პროგრამაში ორივე ასაკის სპორტსმენებისთვის 52 სახეობა იყო შეტანილი. აქედან, ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა 26 პირველი, 23 მეორე და 20 მესამე, 29 მეოთხე, 27 მეხუთე და 23 მეექვსე ჩასათვლელი ადგილები მოიპოვეს. სულ ტურნირის პროცესში გაუმჯობესდა 9 რესპუბლიკური რეკორდი 25-მეტრიანი აუზებისთვის. საქართველოს სპორტსმენთა უმეტესობამ, განსაკუთრებით 1971 წლის ნაკრების კანდიდატებმა, პირადი შედეგები გააუმჯობესეს.

საქართველოს მოცურავეთაგან დავასახელებთ მხოლოდ გამარჯვებულებს. გოგონათა შეჯიბრებაში ნორჩმა დინამოელმა რ. მიქაძემ (თბილისი) 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა მოიგო — 6.27,5. სპარტაკელი მ. გორბუნოვა (ბათუმი) უძლიერესი იყო 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 1.13,6 და 2.48,8. გულაღმა ცურვაში ორ დისტანციაზე გაიმარჯვა თბილისის დინამოელმა მ. ყულიჯანოვამაც (100 მ — 1.17,0, 200 მ — 2.46,4). განთიადელი ი. ზოტოვა (თბილისი) საუკეთესო იყო 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.49,2. თავი გამოიჩინა თბილისელმა ვ. პროსკურინამ („განთიადი“), რომელმაც I ადგილები დაისაკუთრა 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით (1.20,8 და 3.07,8) და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 5.43,0.

ჭაბუკთა შორის ყველაზე მეტი პირველი ადგილი ნორჩმა დინამოელმა თ. ბახუტაშვილმა (თბილისი) დაისაკუთრა. მან მოიგო 50 მეტრზე თავისუფალი სტილით (29,7), 100 და 200 მეტრზე ბრასით (1.18,7 და 2.51,4) და 200 მეტრზე კომპლექსური ცურვა — 2.40,0. საპატიო კვარცხლბეკზე სამჯერ ავიდა დინამოელი ი. სემიონოვი (თბილისი). ერთხელ 200 მეტრზე ბატერფლაით გამარჯვებისთვის (2.35,6), ორჯერ — 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში პირველობისთვის (2.29,9 და 5.25,2).

სამი I ადგილი მოიპოვა სემიონოვის თანაგუნდელმა ვ. გონჩაროვმაც (100 მ თავისუფალი სტილით — 59,2, გულაღმა: 100 მ — 1.06,2, 200 მ — 2.28,2). 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უძლიერესი იყო თბილისელი ა. იორდანიშვილი („შრომითი რეზერვები“) — 4.44,2 და 19.17,0, ა. იევლევმა (თბილისის „დინამო“) პირველობა არავის დაუთმო 100 და 200 მეტრზე ბრასით (1.11,6 და 2.38,2). ბათუმელი ა. ბაშმაკინი („განთიადი“) უძლიერესი იყო 100 მეტრზე ბატერფლაით (1.06,0) შეჯიბრებაში, ხოლო თბილისელი ა. კლიმენკო (განათლების განყოფილება) — 200 მეტრზე თავისუფალი სტილით (2.10,0).

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში პირველად შევიდნენ ქიათურელი მოცურავეები, რომელთაც საპრიზო ადგილების მოპოვებაც შეძლეს. მაგალითად, ბ. გრიგორიევმა II ადგილები დაიკავა 100 და 200 მეტრზე ბრასით, ნ. გაჩეჩილაძე და ს. ოჩხეძე V ადგილებზე გავიდნენ გულაღმა და ბრასით ცურვაში.

ს. ილინი,
საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

## [illegible]

### ტყვარჩელი

კულტურის სახლის სპორტულ დარბაზში გაიმართა „განთიადის“ საქალაქო საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბოელექტროსადგურის სპორტსმენებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზ. მარგია, რ. კარაპეტიანი, ა. ბოგაჩოვი, შ. ბუავა, ზ. ადამია, ვ. ადლეიბა, ო. ჯლამაზია, ვ. შენგელია, გ. გაბრიჭიძე, გ. აკბა.

ჟ. ზიგლაია.

### სამტრედია

„ლოკომოტივის“ სპორტდარბაზში გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების ზონალური პირველობის პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელთა და ფრენბურთელთა ტურნირები. კალათბურთში როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა შორის გაიმარჯვეს სამტრედიის მე-14 საშუალო სკოლის გუნდებმა, ფრენბურთში — მე-13 საშუალო სკოლის კოლექტივებმა.

ა. თავაძე.

### ზუგდიდი

რუხის ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა რაიონის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გაიმარჯვა ამ სოფლის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ათლეტთა გუნდმა (მწვრთნელი ჯ. თოდუა). პირად ჩათვლაში თავი გამოიჩინეს: რ. ბულიამ (რუხი), გ. ხაზალიამ (ცაიში), ა. ლაჭავამ, დ. ლომთაძემ, თ. თუთბერიძემ (ყველა — რუხი), ნ. ნაჭყებიამ (ზედა ეწერი), თ. თოდუამ, ლ. შენგელიამ (ორივე — რუხი).

ა. ჟვანია.

### ახმეტა

სამ დღეს გრძელდებოდა რაიონის ჭაბუკთა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. გამარჯვებას ერთმანეთს ეცილებოდა 105 მონაწილე. გუნდური პირველობა ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივმა დაისაკუთრა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: კ. წოწკოლაურმა, ვ. კოტორაშვილმა, ა. ონიაშვილმა, ე. ხუციშვილმა, უ. გაგუნაშვილმა, დ. ბაგაურმა, ვ. ბალაკაშვილმა, ი. ძეგლიგაშვილმა.

შ. ნათელაური.

### გალი

თავისუფალ ჭიდაობაში „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირადგუნდურ პირველობაში 8 გუნდი მონაწილეობდა. ყველას აჯობეს გუნდურ ტურნირში უკონკურსოდ მოასპარეზე სპორტსკოლის მოჭიდავეებმა, ჩემპიონის წოდება კი ჭუბურხინჯელებს დარჩათ. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: აფსავამ (სპორტსკოლა), ანთიამ (მზიური), კორსანტიამ, ცანავამ, შენგელიამ (ყველა — სპორტსკოლა), დოჩიამ (აჩიგვარის ტექნიკუმი), ძანძავამ, ლემონჯავამ (ორივე — ჭუბურხინჯი).

გ. ჯეჯეია.

### ჩხოროწყუ

ადგილობრივ სტადიონზე გაიმართა ცაგერისა და ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატების ნორჩ კალათბურთელთა შეხვედრა. საინტერესო ბრძოლა მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა — 36:22.

ს. ჯალაღონია.

### გურჯაანი

ჩატარდა მძლეოსნური კროსი „პრავდის“ პრიზზე. 3000 მეტრზე ვაჟთა შეჯიბრებაში 1 ადგილი დაიკავა სოფ. გურჯაანის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელმა ი. საგინაშვილმა. ქალებში (1000 მ) ყველას აჯობა სოფ. ბაკურციხის კოლმეურნეობის გუნდის წევრმა ნ. ალთანაშვილმა.

გ. ქართველიშვილი.

# პირველი გამარჯვება

**ბელგრადი, 30 მარტი.** სსრ კავშირისა და „მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა“ გუნდების მატჩის I ტურში გადადებული პარტიების დამთავრებამაც დიდძალ გულშემატკივარს მოუყარა თავი.

პირველი დამთავრდა მ. მატულოვიჩ (იუგოსლავია)—მ. ბოტვინიკის პარტია. ის იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პოზიციური უპირატესობის რეალიზება დაიწყო, რომ მისმა მეტოქემ ზედმეტად ჩათვალა წინააღმდეგობა და დანებდა.

მ. ტაიმანოვმა ვ. ულმანთან (გდრ) მოგების ნაღდ გეგმას მიაგნო და აუჩქარებლად განახორციელა იგი. 58-ე სვლაზე ულმანმა მეტოქეს გამარჯვება მიულოცა.

ლ. პოლუგაევსკის მძაფრი წინააღმდეგობა ამაო აღმოჩნდა: ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) შეძლო ყველა დაბრკოლების გადალახვა და გაიმარჯვა. სამაგიეროდ, ვ. კორჩნოიმ დაიცვა საეჭვო პოზიცია და ლ. პორტიში (უნგრეთი) ყაიმზე დაიყოლია.

ამრიგად, „საუკუნის მატჩის“ I ტური საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიგეს — 5,5:4,5.



# საგზურები განაწილდა

I. თ. გოლოვეი (მინსკის „სპარტაკი“) — 9 ქულა, II-III. ლ. ბელოკუროვა (იაროსლავლის „ტრუდი“), ნ. ჩიქობავა (თბილისის „განთიადი“) — 8,5-8,5, IV-V. მ. ვართანიანი (ერევნის „სპარტაკი“), მ. სამული (ტალინის „იიუდი“) — 8-8, VI-VII. ვ. ბორისენკო (ტაშკენტის „ლოკომოტივი“), თ. ხუგაშვილი (თბილისის „ბურევესტნიკი“) — 7-7, VIII. ო. რუბცოვა (მოსკოვის „სპარტაკი“) — 6,5, IX-X. ნ. გიორგაძე, მ. გეგეჭკორი (ორივე — თბილისის „განთიადი“) — 4-4, XI. დ. ქობალია (თბილისის „განთიადი“) — 3,5, XII. რ. კოხე (სამარყანდის „მეხმეტი“) — 3, XIII. ლ. კიშკინა (აშხაბადის „ზახმეტი“) — 1.

აი, ასე დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს მოჭადრაკე ქალთა V ჩემპიონატის თბილისური ნახევარფინალი. ფინალის საგზურები პირველ ხუთ ადგილზე გასულმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს. ფინალი გაისად ჩატარდება.

ტურნირი უაღრესად დაძაბული იყო. საინტერესო აღმოჩნდა დასკვნითი აკორდიც — „ლელოს“ პრიზისთვის (ბოლო ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისთვის) ბრძოლა. პრიზი ჩიქობავამ დაისაკუთრა — 4,5 ქულა. მისი მთავარი მეტოქე გამოცდილი ოსტატი ბორისენკო გახლდათ, მაგრამ ბოლო ტურში ტაშკენტელმა სამულის წინააღმდეგობა ვერ დაძლია.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრიზი — ყველაზე მეტი მოგებისთვის — ოსტატ გოლოვეის ხვდა. მან 7 შეხვედრა მოიგო.

ნახევარფინალი იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში სამი თაობის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, 61 წლის რუბცოვას ხშირად არ ყოფნიდა ძალა და ჩანაფიქრს ვერ ახორციელებდა. სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი ბორისენკო მხოლოდ ზოგიერთ შეხვედრაში ავლენდა სრულად თავის ერუდიციას. სწორედ ამ პარტიებში მისი შემოქმედებითი წარმატება საგანგებო სიგელით აღინიშნა.

სასურველ შედეგს ვერც სულ ახალგაზრდებმა (ქობალია, გიორგაძე) მიაღწიეს. მათ ჯერ აკლიათ გამოცდილება და ცოდნა. გაუტეხელი ხასიათისა და შემართებისთვის საგანგებო სიგელი გადაეცა 14 წლის გიორგაძეს (ყველაზე უმცროს მონაწილეს): ზედიზედ ექვსი წაგების მიუხედავად, ფინიშზე ნონამ კარგ სტილში მოიგო სამი პარტია, მათ შორის, რუბცოვაც დაამარცხა.

ტურნირში გაიმარჯვეს მოჭადრაკეებმა, რომელთა გამოცდილება და ასაკი კარგადაა შეხამებული ერთმანეთთან. სწორედ მათ გვიჩვენეს საინტერესო პოზიციური და კომბინაციური ბრძოლა.

გოლოვეის გამარჯვება მოულოდნელი როდია. მინსკელი მოჭადრაკე ხშირად მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონატებში, სადაც კარგ შედეგებსაც აღწევს.

სასიამოვნო სიურპრიზია ნათელა ჩიქობავას თვალსაჩინო წარმატება. ახალგაზრდა ინჟინერი აუღელვებელი, შეუპოვარი მებრძოლია. მან უფერულად აიღო სტარტი (1,5 ქულა 4-დან), მაგრამ შემდეგ ჯიქურ შეუტია მეტოქეებს (7 ქულა 8-დან). აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ პარტიაში (ვართანიანთან, სამულთან) ჩიქობავამ თავისი პოზიციის შესაძლებლობები მთლიანად ვერ გამოიყენა.

ნახევარფინალის საზეიმო დახურვაზე საერთაშორისო ოსტატმა ვ. ბორისენკომ თქვა, რომ „განთიადის“ ცენტრალურმა საბჭომ, რომელსაც ამ ტურნირის ჩატარება ჰქონდა დავალებული, მონაწილეებს შემოქმედებითი ბრძოლისთვის საუცხოო პირობები შეუქმნა.

**თ. გიორგაძე,**
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი.

* * *

სურათზე (მარცხნიდან): ნ. ჩიქობავა, თ. გოლოვეი, ლ. ბელოკუროვა და მ. სამული.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

# სტუმრად უსინათლო მოჭადრაკეებთან

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მოჭადრაკეებმა ამას წინათ სოღანლუღის კულტურის სახლში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სსრ კავშირის ჩემპიონს ნანა ალექსანდრიას.

სახელოვან მოჭადრაკეს მიესალმნენ საზოგადოების თავმჯდომარე ვ. გაჩეჩილაძე, სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წამოწყების დირექტორი ა. გოგიბერიძე და კულტურის სახლის თანამშრომელი მ. დევიძე.

ნ. ალექსანდრიამ მასპინძლებს გაუზიარა ჰოლანდიაში მიღებული შთაბეჭდილებები (როგორც ცნობილია, იქ მან ქალთა საერთაშორისო ტურნირში ითამაშა), ილაპარაკა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალებზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემპიონის ერთდროული თამაშის სეანსმა 12 დაფაზე. ბრძოლამ თითქმის ოთხ საათს გასტანა. სტუმარმა 11 პარტია მოიგო და ერთი — საზოგადოების ჩემპიონ გ. ჰუმბურიძესთან — ყაიმით დაამთავრა.

**ნ. სოროკინი,**
სპორტის ოსტატი.

# ყოველი მხრიდან

## ჭეშმარიტების წინააღმდეგ

საინტერესოა, რით ხელმძღვანელობდა ავსტრიის გაზეთ „კურირის“ ჟურნალისტი ვილჰელმ ასტლი, როცა ჭეშმარიტების დამახინჯება განიზრახა. ამჯერად მისი მიზანი იყო გაემუქებინა მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ქალაქ შტრბსკე-პლესოში ჩატარდა. პირველობის დღეებში იგი, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა ცილისწამებას, რადგან მაღალ ტატრებში საბჭოთა სპორტსმენებისა და გდრ-ის წარმომადგენელთა უპირატესობა მეტისმეტად აშკარა იყო, მაგრამ, როგორც კი ჩემპიონატი დამთავრდა, ასტლი იერიშზე გადავიდა.

ავსტრიელმა ჟურნალისტმა ეჭვის ქვეშ დააყენა ყველა უძლიერესი მოთხილამურის (გასაგებია, რომ ეს მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს ეხებათ) გამოსვლა და დოპინგის გამოყენება დასდო მათ ბრალად. „უბრალოდ, გაუგებარია, — წერს ასტლი, — როგორ მოახერხა, მაგალითად, გრიმერმა ესტაფეტაში რუსებთან სხვაობა — 1.07,51 — მოესპო 10 კილომეტრზე! ზოგიერთი საბჭოთა მოთხილამურის წარმატებაც გვაფიქრებინებს, რომ ეს სტიმულატორების მოქმედების შედეგია“.

ვის შეიძლებოდა აზრად მოსვლოდა ეს იდეა, თუ არა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ სიძულვილით აღსავსე კაცს? სხვათა შორის, ამ „სარწმუნო ინფორმაციის“ პირველწყარო მალე აღმოჩნდა: ესაა „ერთი დასავლეთგერმანელი ჟურნალისტი“. მას, რასაკვირველია, არ შეეძლო რაიმე საფუძვლიანი ეთქვა გდრ-ის შესანიშნავ მოთხილამურეზე და თავისი მოსაზრება ასე დაასაბუთა: „ის, რაც გრიმერმა გააკეთა, ყოვლად შეუძლებელია“.

გრიმერმა და მისმა ამხანაგებმა თავიანთი უპირატესობა მარტო ჩემპიონატში კი არ დაამტკიცეს, არამედ ნორვეგიაში გამართულ ესტაფეტებშიც, სადაც მასპინძლებს მოუგეს. ამას გარდა გრიმერმა II ადგილი აიღო „ვაზა-ლოპეტის“ ცნობილ რბოლაში, ხოლო ჰოლმენკოლენის ტურნირში 50 კილომეტრზე რბოლაში გაიმარჯვა.

მაგრამ ეს ყველაფერი ავსტრიელ ჟურნალისტს დიდად არ აინტერესებს. იგი თავისი სულიერი მასწავლებლის მოწოდებას მისდევს: „დასწამეთ ცილი, იქოთქოთ, ბოლოს და ბოლოს რაღაც მაინც დაგრჩებათ ხელთ...“ ასტლს არ აინტერესებს, რას ფიქრობენ მის შესახებ ნორმალური ადამიანები, ის ადამიანები, რომელთაც იციან, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ დგას უძლიერეს სპორტულ სახელმწიფოთა რიგებში. სხვათა შორის, სწორედ ამ სახელმწიფოს წარმომადგენელმა მოითხოვა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის კომისიის ოფიციალურ სხდომაზე, რომ შეჯიბრების დროს დოპინგზე კონტროლი გაეწიათ, როგორც ეს სპორტის სხვა სახეობებში ხდება.

## შურიანი კინოვარსკვლავი

ამერიკელი კინომსახიობი სტივ მაკკვინი, რომელიც უამრავ ფილმშია გადაღებული, თურმე შურით უყურებს სხვა ვარსკვლავების დიდებას. ოღონდ აქ უკვე ლაპარაკია სპორტის ვარსკვლავებზე, ექსტრაკლასის ავტომრბოლელებზე.

„ჩემი თაყვანისმცემლები ალბათ გაოცდებოდნენ იმით, რომ არსებობს სამყარო, სადაც მე არც ისე კარგად მიცნობენ და არც იმდენად მაფასებენ. ეს ავტოსპორტის სამყაროა, — ამბობს მაკკვინი. — მართალია, მე აქაც მივაღწიე რაღაც წარმატებას: ლემანის (საფრანგეთი) 24-საათიან რბოლაში მსოფლიო ჩემპიონმა ჯეკი სტიუარტმა თანამეწყვილედ ამიყვანა. ახლა სებრინგის 12-საათიან შეჯიბრებაში მონტე-კარლოს რალის გმირის, შვედ ბიორნ ვალდეგაარდის თანამგზავრი ვიქნები.

მაგრამ ყოველივე ეს დიდება მაინც არ არის. აი, რატომ ვოცნებობ, რომ დამოუკიდებლად გამოვიდე სარბიელზე და სახელგანთქმული ოსტატები დავამარცხო“.

## გეოგრაფია რევანშისტულად

შური და ბოროტება არასოდეს ყოფილა კარგი მრჩეველი, განსაკუთრებით, გეოგრაფიის საკითხებში. შეიძლება ამიტომაც ვერ შენიშნა პოლონეთის არსებობა დასავლეთგერმანულმა „კემპინგ კლუბმა“, რომელმაც მთელს მსოფლიოში დაგზავნა თავისი მეგზურები.

კლუბის პრეზიდენტმა — ბატონმა ფონ ჰორნმა უაღრესად თავისებურად გაიმართლა თავი ამ პატარა შეცდომისთვის. მან თქვა, რომ ინფორმაცია „სავსებით საიმედო წყაროებიდანაა მიღებული“.

„ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა, — ირონიით წერს პოლონური გაზეთი „ჟიჩე ვარშავი“. — უწინ სულ ცოტა მიწას მაინც გვიტოვებდნენ, ახლა კი, მესამე რაიხის განადგურებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ პოლონეთი საერთოდ არ არსებობს ოფიციალური მეგზურის გეოგრაფიულ რუკაზე, რომელსაც პრეზიდენტი ჰორნი აწერს ხელს“.

პოლონეთის ტურიზმის ფედერაციამ წერილი გაგზავნა „კემპინგ კლუბში“ და სამართლიანი აღშფოთება გამოთქვა ასეთი საქციელის გამო. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

ყოველივე ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ, რომ „კემპინგ კლუბის“ რეზიდენცია მიუნხენშია, ქალაქში, სადაც 1972 წლის ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს.

## არქტიკული თამაშები

კანადის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ იელოუ-ნაიფში დაიწყო უაღრესად ორიგინალური სპორტული თამაშები. შეჯიბრებაში მონაწილეობს 750 ესკიმოსი, ინდიელი, აგრეთვე, კანადის პოლარული ოლქებისა და ალიასკის წარმომადგენელი. ყველა მათგანი მე-60 პარალელის ჩრდილოეთით ცხოვრობს.

თამაშების პროგრამაში საყოველთაოდ ცნობილ სახეობებთან — კალათბურთთან, ჰოკეისთან, მაგიდის ჩოგბურთთან, ფრენბურთთან, კრივთან ერთად შეტანილია ეგზოტიკური სახეობებიც. მაგალითად, ჰარპუნის ტყორცნა, ძაღლებით რბოლა, მათრახის ფლობის ხელოვნება, ყინულზე ქვის გორება და ა. შ.

# ჯერ შინ, მერე ვიტებსკში

ჩატარდა ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის პირველმა ნაკრებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. სალუქვაძე (ქუთაისი), ნ. ჭილაძე, ა. მეფარიშვილი, ფ. ზანანაშვილი, ე. ღუდუშაური, ვ. მესტვირიშვილი (ყველა — თბილისი), ე. ალავიძე, ნ. გოგიტიძე, ე. ერგემლიძე (ყველა — ქუთაისი), კ. მირველაშვილი (თბილისი).

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს ნაკრები გუნდი, რომელიც „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ ჩემპიონატში უნდა გამოსულიყო. და აი, ახლახან მოვიდა ცნობა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამმა წარმომადგენელმა ვიტებსკის საკავშირო ტურნირში I ადგილები დაისაკუთრა. ესენი არიან: ა. სალუქვაძე, გ. ყვარელაშვილი და ვ. მესტვირიშვილი. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები V ადგილზე გავიდნენ.

**ჯ. ხუნუა.**

# სპარტაკიადის პროგრამით

სოხუმში, „დინამოს“ სპორტდარბაზში, დამთავრდა აფხაზეთის სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონების ნაკრები გუნდები. პირველობისთვის 60-მდე ათლეტი იბრძოდა.

საინტერესო ჭიდილის შემდეგ აფხაზეთის „კოლმეურნის“ ჩემპიონის წოდება წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ტ. აბსავამ, ვ. კაკუბავამ (ორივე — გალი), ა. ბარციკიანმა (ოჩამჩირე), ა. ჯორჯიკიამ (გულრიფში), რ. აგუმავამ, ვ. შენგელიამ (ორივე — გალი), ნ. არქანიამ, გ. გიორგაძემ, დ. კოპალიანმა (სამივე — სოხუმის რაიონი), ნ. ნადარეიშვილმა (გულრიფში).

გუნდურ ჩათვლაში პირველობა სოხუმის რაიონის ფალავნებმა მოიპოვეს. II ადგილზე არიან გულრიფშელები, III — გალელები.

**გ. იაშვილი,**
**შ. ჯალაღონია.**

სოხუმი.

Спортивен спорт • Sport • SPORTSKE NOVOSTI • Népsport • PRZEGLĄD SPORTOWY

## რაპანს არ ივიწყებენ

ცნობილი ავსტრიელი მწვრთნელი რაპანი ჯერ კიდევ 1931 წლიდან დაუკავშირდა შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციას. როგორც ჩანს, შვეიცარიელებსა და რაპანს არ შეუძლიათ ურთმანეთოდ გაძლება. ვენის „რაპიდში" ცოტა ხნის ყოფნის შემდეგ, სადაც რაპანს ავსტრიელებთან დიდი უთანხმოება მოუვიდა, იგი კვლავ შვეიცარიაში დაბრუნდა და ამ ქვეყნის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორად დაიხიშხა.

● ●

## 4-4 გუნდით

ნილევანდელი სეზონიდან საფეხბურთო ეკრება ერთ მეტად საინტერესო საერთაშორისო ტურნირს. მასში ინგლისისა და იტალიის 4-4 უძლიერესი საკლუბო გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ასეთი ხელშეკრულება დაიდო ამ ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციებს შორის.

ტურნირის პირველი ნაწილი ინგლისში ჩატარდება 2-9 მაისს, შემდეგ გუნდები იტალიაში გადავლენ და 17-24 მაისს იქ დაასრულებენ შეჯიბრებას.

● ●

## უცხოელების ხარჯზე

მარსელის „ოლიმპიკს" ბოლო ხანებში დიდი წარმატება აქვს. იგი საფრანგეთის თასის მფლობელია და ჩემპიონობისთვისაც ებრძვის „სენტ-ეტიენს". რითი უნდა აიხსნას გუნდის ეს წარმატება? მხოლოდ და მხოლოდ მდიდარი მფარველების წყალობით. ახლა „მარსელის" თავდასხმაში გამოდიან შვედი მაგნუსონი, იუგოსლაველები სკობლარი და მიტიჩი... ამათ დაუმატეთ საფრანგეთის ნაკრების მარცხენა გარემარბი ლუბე და მიიღებთ ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო თავდასხმას.

მარსელის „ოლიმპიკის" ხელმძღვანელობას ერთი ოცნება აქვს: გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მიიღოს მონაწილეობა.

● ●

## ერერა ემტერება ბითლზებს

იტალიის „რომას" მწვრთნელმა ე. ერერამ თავის მოთამაშეებს აუკრძალა გრძელი თმის ტარება. გარდა იმისა, რომ ბითლზების მიბაძვა მწვრთნელს სპორტსმენებისთვის შეუფერებლად მიაჩნია, მან თავისი აკრძალვა სხვა მხრივაც დაასაბუთა: „გრძელი თმა ფეხბურთელისთვის არაფრის მაქნისია, იგი ხელს უშლის თავით თამაშს".

● ●

## მაყურებლებმა გული აიცრუეს

ფრანგმა მაყურებლებმა ძალიან აიცრუეს გული ფეხბურთზე. ფრანგული მასშტაბებით მხოლოდ ორ გუნდს ჰყავს ასე თუ ისე მაყურებელთა გვარიანი რიცხვი. ესენი არიან ქვეყნის ჩემპიონი „სენტ-ეტიენი" (მატჩში საშუალოდ 13.009 მაყურებელი საკუთარ მინდორზე თამაშისას) და მარსელის „ოლიმპიკი" თავისი უცხოელი ვარსკვლავებით (საშუალოდ — 22.623 მაყურებელი).

შავ დღეში ჩავარდა „აიაჩო", რომელსაც სრულიად არ სცემენ პატივს საკუთარ ქალაქშიც კი. აქ მატჩზე საშუალოდ 3.200 კაცი მოდის.

● ●

## ცივი წყალი გადაასხეს...

ევროპის პირველ ფეხბურთელად აღიარებულ ჯ. რივერას (იტალია) ამას წინათ თავისებური იუბილე ჰქონდა — მან მე-300 მატჩი ითამაშა „მილანის" შემადგენლობაში.

რივერას სამახსოვრო საჩუქარი გადასცა მსოფლიო ჩემპიონმა კრივში ნ. ბენვენუტიმ. ირგვლივ სუფევდა მხიარული, საზეიმო განწყობილება. ის კია, რომ მეტოქეებმა — ვიჩენცის „ლანეროსის" ფეხბურთელებმა იუბილარს ცივი წყალი გადაასხეს: „მილანი" დაამარცხეს ანგარიშით 1:0.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •



კვირას მოსკოვის სპორტის სასახლეში გაიმართა ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორთა საჩვენებელი გამოსვლები.

სურათებზე: ზევით—ი. როდნინა და ა. ულანოვი; ქვევით — ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი.

ფოტო ვ. ჯალაქტიონოვისა და ი. შალამოვისა.



# მარინე ელერდაშვილი პირველია

მოზარდ ჩოგბურთელთა საკავშირო გუნდური ასპარეზობა ფინიშის სწორზე გავიდა. ორი დღეც, და თბილისის „დინამოს" კორტები დროებით დაცარიელდება.

ქალიშვილთა ერთეულების თანრიგში უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ესენი არიან მ. კროშინა (ალმა-ათა), ო. ვორსინა (სოჭი), ე. ბირიუკოვა (ბაქო) და ნ. რადაევა (მოსკოვი). ამ ჩოგბურთელებმა მეოთხედფინალში შესაბამისად დაამარცხეს ვიტებსკელი ლ. როვაჩოვა (6:2, 8:6), ტალინელი ე. კომაროვა (6:2, 1:6, 8:6), მოსკოველები ლ. ტოპოროკოვა (6:3, 6:4) და ე. გრანატუროვა (6:2, 1:6, 6:1).

### მოზარდთა საკავშირო პირველობა ჩოგბურთში

თბილისელები სანუგეშო ტურნირში მონაწილეობენ. ხ. კეკელიამ, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში IX ადგილზე გასვლის შანსი ჰქონდა, წააგო ლენინგრადელ ი. იაშენკინასთან (3:5, 3:6) და ახლა XIII-XVI ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში გადაინაცვლა. მეორე თბილისელმა — ი. მირიმანოვამ ოდნავ გაიუმჯობესა მდგომარეობა. მან დაამარცხა ლიეპაელი ი. შევჩენკო (6:3, 6:4) და XVII-XVIII ადგილების ბედს გაარკვევს კიეველ ლ. გილთან შეხვედრაში.

გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები ჭაბუკთა ერთეულებშიც. მათი მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგები ასეთია: რ. ანტონიანი (ლენინგრადი) — ვ. ლაზარევი (სოჭი) 6:4, 3:6, 6:3, ვ. ლაპიმაა (ტალინი) — ტ. კერგე (ტალინი) 4:6, 6:2, 6:1, ე. პოზდნიაკოვი (მოსკოვი) — ვ. ლიტვინოვი (ალმა-ათა) 6:3, 3:6, 6:3, ი. გრიგორი (სევეროდონეცკი) — ა. კორენეცი (მინსკი) 6:4, 6:1.

თბილისელთა შედეგები სანუგეშო ტურნირში: ვ. ოსიპოვი — ვ. გრიბი (მინსკი) 2:6, 6:3, 2:6; გ. აბრამიძე — ტ. კივისტიკი (ტალინი) 4:6, 4:6. ახლა ორივე თბილისელი XIII-XVI ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში გამოვა.

როგორც უკვე ვწერდით, ჩვენი დედაქალაქის წარმომადგენლები ქარულ წყვილთა თანრიგში არ გამოდიან. ნახევარფინალისტთა ვინაობა ამ თანრიგშიც ცნობილი გახდა. აი, როგორ დამთავრდა ამ ჯგუფში მეოთხედფინალური შეხვედრები: კროშინა, რუდი — როვაჩოვა, გრიბი 6:3, 6.1, კომაროვა, ლაპიმაა — ზინინა, ლუკაშინი 6:3, 6:2, ე. გრანატუროვა, ბოგომოლოვი — რადაევა, პოზდნიაკოვი 7:5, 6:1, ბირიუკოვა, ახმეროვი — ვორსინა, ლაზარევი 6:4, 6:3.

პირველობისთვის ასპარეზობა ქალიშვილთა 11 წყვილმა დაიწყო. თბილისელები — კეკელია და მირიმანოვა I ტურში თავისუფალი იყვნენ, მათ მეოთხედფინალიდან დაიწყეს შეჯიბრება და აქვე დამარცხდნენ (კომაროვასთან და კროშინასთან — 1:6, 1:6). ფინალში გავიდნენ ბირიუკოვა — რადაევა და კომაროვა — კროშინა. III-IV ადგილების ბედი გაირკვევა მაშინ, როცა ერთმანეთს შეხვდებიან წყვილები: ტოპოროკოვა — ლ. გრანატუროვა და ვორსინა — ზინინა.

ჭაბუკთა წყვილების თანრიგშიც 11 დუეტმა დაიწყო შეჯიბრება. აქ თბილისელი ოსიპოვის თანამეწყვილე იყო ტალინელი მეტსისი. მათ პირველივე წრეში დათმეს პოზიციები გრეკოვთან და პოზდნიაკოვთან (4:6, 1:6), რითაც საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის უფლება დაკარგეს. ამ თანრიგის ფინალში ითამაშებენ კერგე — ლაპიმაა და რუდი — ლიტვინოვი. III-IV ადგილებისთვის იბრძოლებენ ლაზარევი — ლუკაშინი და ბოგომოლოვი — ილარიონოვი.

გოგონათა ერთეულების შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდა მ. ელერდაშვილი. მან ფინალშიც მარჯვედ ითამაშა და დაამარცხა ძლიერი მეტოქე — მინსკელი ს. კორზუნი — 7:5, 6:3. მარინემ განსაკუთრებით პირველ პარტიაში გამოიჩინა თავი. იგი თამამად უტევდა სტუმარს და წარმატებასაც მიაღწია. III საპრიზო ადგილი დაიკავა სოჭელმა ნ. ლუკაშინამ, რომელმაც დაამარცხა ლენინგრადელი ნ. ბოგდანოვა — 6:4, 0:6, 6:2.

ბიჭების ერთეულთა ფინალში თბილისელებიდან ა. ახვლედიანი გამოდიოდა. მან პირველი ხელი იოლად მოიგო მოსკოველ ვ. ბრენდეს (6:1), მაგრამ მომდევნო ორი პარტია დათმო (3:6, 4:6) და II ადგილს დასჯერდა. III ადგილი ხვდა სოჭელ ა. სემერჯიანს, რომელმაც დაამარცხა მინსკელი ა. მირონჩიკი (6:1, 6:1). ამ თანრიგში გამოდიოდა მეორე თბილისელი — გ. ელერდაშვილიც, რომელმაც ალმაათელ ვ. კოლესნიკოვთან წაგებით (1:6, 0:6) ბოლო, VIII ადგილი დაიკავა.

ბიჭების წყვილთა შეჯიბრებაში მასპინძლებმა თანამეწყვილეებად სტუმრები აირჩიეს: ახვლედიანმა — მინსკელი მირონჩიკი, ელერდაშვილმა — ალმაათელი კოლესნიკოვი. ჩვენი აზრით, ამ გადაწყვეტილებას არავითარი გამართლება არა აქვს. ეს წყვილები ერთმანეთს ორიოდე დღეში დაშორდებიან და ვერც ერთი მხარე სარგებლობას ვერ მიიღებს. თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, რასაკვირველია, სჯობს წყვილები ადგილობრივი ჩოგბურთელებით დავაკომპლექტოთ, ნორჩები ერთად თამაშს შევაჩვიოთ.

...ფინალის საგზურები მოიპოვეს კავლენკო—მილკმა და ბრენდე—სემერჯიანმა. პირველმა წყვილმა მოუგო ახვლედიანსა და მირონჩიკს (6:3, 6:4), მეორემ — კოლესნიკოვსა და ელერდაშვილს (6:0, 6:1). დამარცხებულები III-IV ადგილებს გაითამაშებენ.

შეჯიბრება გრძელდება.

ბ. ირინაული.

## ბალცო შეცვალა... ბაკომ

თანამედროვე ხუთჭიდის უნგრელმა ოსტატებმა, რომელთაც მსოფლიოში უძლიერესთა სახელი აქვთ მოხვეჭილი, თავიანთ ქვეყანაში რამდენიმე შეჯიბრება გამართეს ჭაბუკებისთვის, იუნიორებისა და მოზრდილებისთვის.

საინტერესო იყო მოზრდილთა შეჯიბრება, სადაც ამ ბოლო წლებში პირველად დათმო ლიდერის პოზიციები მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ბალცომ: მას აჯობა 23 წლის ბაკომ. აღსანიშნავია, რომ ხუთჭიდის ცალკეული სახეობებიდან ბაკომ მხოლოდ ცხენოსნობა მოიგო, ბალცომ კი ფარიკაობა და სროლა. ცურვასა და მძლეოსნურ კროსში ტოლი არ ჰყავდა ხორვატს.

საბოლოოდ, ბაკომ 5278 ქულა დააგროვა. მას 5 ქულით ჩამორჩა ბალცო.

5000 ქულაზე მეტი დააგროვეს, აგრეთვე, მონამ (5192) და ხორვატმა (5104).

იუნიორთა შორის გაიმარჯვა ვილანიმ (5275), ხოლო ჭაბუკებში — პინტერმა (4718).

რედაქტორი მ. კაკაბაძე

„ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

2 აპრილი

„დინამო" (თბილისი) —

„დინამო" (მინსკი)

(ძირითადი შემადგენლობანი)

დასაწყისი 18 ს. და 15 წ.